Nexia

# საგადასახადო სიახლეები
თებერვალი, 2026

## ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში

ცვლილება გადასახადების ადმინისტრირების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის № 996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებაში განხორციელდა ცვლილებები (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება 2026 წლის 24 თებერვლის №52 ბრძანება). კერძოდ, ე.წ. მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე მყოფი პირებისთვის მოგების გადასახადის მარტის თვის, ხოლო ფინანსური ინსტიტუტებისთვის მოგების გადასახადის 2025 წლის დეკლარაციის შევსებისას გასათვალისწინებელია, რომ ასევე სავალდებულოა გადამხდელმა წარმოადგინოს ინფორმაცია მის მიერ 2025 წლის განმავლობაში განხორციელებული საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შესახებ. მოგების გადასახადის (წლიური) დეკლარაციის და მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის (მხოლოდ მარტის თვის საანგარიშო პერიოდის) ფორმებს დაემატა დანართი - **„ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 126-129[1] მუხლებით გათვალისწინებული საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შესახებ“.**

ცვლილების თანახმად საწარმო ვალდებულია ზემოაღნიშნულ დანართში ასახოს ინფორმაცია 2025 წლის განმავლობაში განხორციელებული საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შესახებ თუ საწარმოს მიერ განხორციელებული საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების (მათ შორის უსასყიდლო ოპერაციისა და კრედიტორული/დებიტორული დავალიანების ნაშთების გათვალისწინებით) მოცულობა ჯამურად, აღემატება 500 000 ლარს. თუ საქართველოს საწარმო ახორციელებს ერთ ან რამდენიმე ფინანსურ ან კომერციულ ოპერაციას ურთიერთდამოკიდებულ საწარმოსთან, რომელიც არ არის საქართველოს საწარმო, ითვლება, რომ საწარმოს გააჩნია საერთაშორისო კონტროლირებული ტრანზაქცია/ტრანზაქციები.

დანართის შევსებისას პირველ რიგში მიეთითება იმ ურთიერთდამოკიდებული პირის (დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, რეზიდენტობა, ურთიერთდამოკიდებულების ფორმა) მონაცემები, რომელთანაც განხორციელებულია კონტროლირებული ტრანზაქცია.

© 2026 Nexia Georgia

**ზემოაღნიშნული დანართის შევსების მიზნებისთვის ურთიერთდამოკიდებულების ფორმა, რაც უნდა მიეთითოს დეკლარაციაში განისაზღვრება, როგორც:**

- ➢ პირდაპირ საწარმოს 50 პროცენტზე მეტის ფლობა;
- ➢ არაპირდაპირ საწარმოს 50 პროცენტზე მეტის ფლობა;
- ➢ სამეწარმეო გადაწყვეტილებების პრაქტიკული კონტროლი;
- ➢ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნის რეზიდენტი;
- ➢ მუდმივი დაწესებულება;

**კონტროლირებულ ოპერაციებად მიიჩნევა ისეთი ტრანზაქციები, როგორებიცაა:**

- ➢ საქონლის/მომსახურების მიწოდება/შესყიდვა;
- ➢ მატერიალური/არამატერიალური აქტივების მიწოდება/შესყიდვა;
- ➢ მიღებული/გაცემული სესხი;
- ➢ საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი;
- ➢ მიღებული/გაცემული გარანტია;
- ➢ სხვა ფინანსური ოპერაციები;
- ➢ არამატერიალური აქტივის გამოყენებისთვის გადახდილი/მიღებული თანხები (როიალტი);
- ➢ სხვა კონტროლირებული ოპერაცია, მათ შორის უსასყიდლოდ განხორციელებული და ბარტერული ოპერაცია;
- ➢ ბიზნესის რესტურქტურიზაცია;

© 2026 Nexia Georgia

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების მიზნებისთვის საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში პირველად განიმარტა ბიზნესის რესტრუქტურიზაციის ცნება, რომელიც განსხვავდება რესტუქტურიზაციის კლასიკური გაგებისგან და მოიცავს ისეთ ტრანზაქციას, როდესაც ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის კომერციულ ან ფინანსურ ურთიერთობებში განხორციელებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა შედეგადაც იცვლება მხარეთა მიერ შესრულებული ფუნქციები, აღებული რისკები და გამოყენებული აქტივები. ასევე, ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის არსებული ხელშეკრულების შეწყვეტა, გადახედვა და არსებითი ცვლილება;

ოპერაციის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეთითოს როგორც განხორციელების ვალუტაში, ასევე ეროვნულ ვალუტაში (ლარში), უშუალოდ ოპერაციის განხორციელების დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. ასევე, მიეთითება ინფორმაცია კონტროლირებულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული დებიტორული/კრედიტორული დავალიანების ნაშთების შესახებ, თუმცა, მხოლოდ მისი განხორციელების ვალუტაში. საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციის დაწყების თარიღში უნდა მიეთითოს ოპერაციების დაწყების თავდაპირველი თარიღი.

და ბოლოს, პირს მოეთხოვება, დანართში სავალდებულოდ მიუთითოს, ფლობს თუ არა კონტროლირებული ოპერაციების შეფასებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, შემდეგი სტატუსებიდან ერთ-ერთის არჩევით: „მაქვს“, „არ მაქვს“, „მზადდება“, ან „ვაპირებ მომზადებას“.

**ცვლილება ამოქმედდა 2026 წლის 25 თებერვლიდან და მისი მოქმედება ვრცელდება 2025 წლის და შემდგომ საანგარიშო პერიოდზე წარსადგენ ინფორმაციაზე.**

© 2026 Nexia Georgia

**პუბლიკაციაში წარმოდგენილი საკითხები არის მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის და გამიზნულია ზოგადი მიმოხილვისათვის.**

არ არის რეკომენდებული აღნიშნულ პუბლიკაციაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება პროფესიონალებთან კონსულტაციის გარეშე!

Nexia